



2010 წლის 20 ივლისს, იტალიური ასოციაცია “რონდინე მშვიდობის ციტადელის” წარმომადგენლობითი დელეგაცია ასოციაციის პრეზიდენტის, პროფ. ფრანკო ვაკარის ხელმძღვანელობით ეწვია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, უნივერსიტეტის პროფესორ – მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. იტალიური მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ, ქალაქ არეცოს ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი, სიენას, მილანის, პერუჯას უნივერსიტეტის პროფესორები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ასოციაციის წევრი სტუდენტები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ჯონი აფაქიძემ, „რონდინე მშვიდობის ციტადელის“ ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფ. ფრანკო ვაკარიმ, სიენის უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრეა მესერიმ და რონდინეს სტუდენტებმა. შეხვედრის ბოლოს ასოციაციის პრეზიდენტმა წარადგინა 14 პუნქტიანი დოკუმენტი კავკასიაში მშვიდობისათვის.